



რა არის ESG მაჩვენებლები და რატომ არის ისინი მნიშვნელოვანი?

ESG იმეორება როგორც „გარემოსდაცვითი, სოციალური და მმართველობითი საკითხები“ და ასახავს კომპანიის ზომებსა და გრძელვადიან ვალდებულებას საზოგადოების, გარემოსა და სოციალური ზემოქმედების მიმართ. ESG მაჩვენებლები კომპანიების მდგრადობის ხარისხის დასადგენად გამოიყენება.



ESG



გარემოს დაცვა

ეკოლოგიური მართვის სისტემა, ენერგოეფექტურობა, ნახშირბადის ინტენსივობა და ა.შ.



ESG აბრევიატურაში **E** ასოთი ფასდება კომპანიის გავლენა პლანეტასა და გარემოზე, მაგ.: CO₂-ის ემისიების შესამცირებლად კომპანიის მიერ გატარებული ზომების შეფასებით, ემისიებთან დაკავშირებული მიზნების შესაბამისად.

სოციალური საკითხები

თანაბარი შესაძლებლობები, ჯანდაცვა და უსაფრთხოება, ადამიანის უფლებები და ა.შ.



ESG აბრევიატურაში **S** ასოთი ფასდება კომპანიის ურთიერთობა თავის თანამშრომლებთან, მომხმარებლებთან, მომწოდებლებთან, ადგილობრივ საზოგადოებასთან და ა.შ., ასევე ის, თუ რამდენად კარგად ექცევა კომპანია თანამშრომლებსა და მომხმარებლებს.

მმართველობა

ბიზნეს ეთიკა, შესაბამისობა, დირექტორთა საბჭოს დამოუკიდებლობა და ა.შ.



ESG აბრევიატურაში **G** ასოთი ფასდება კორპორატიული სტანდარტები და აქციონერთა უფლებების სათანადოდ მოქმედება კომპანიაში.¹

¹ ESG ინვესტიციის, SustainFi (2021), სრული სახელმძღვანელო იხილეთ გვერდზე: <https://sustainfi.com/articles/esg-investing/>

რა არის ESG რეიტინგი?

ESG რეიტინგი ორიენტირებულია კომპანიის მდგრადობის შეფასებაზე, რაც კომპანიისა და ანალოგიური სანარმოების შედეგების შედარების საფუძველზე ხორციელდება.² შეფასებული ESG რისკები და შესაძლებლობები დამოკიდებულია იმ ინდუსტრიაზე, რომელშიც კომპანია საქმიანობს.³ ამიტომ, ამ შეფასებისთვის გამოყენებული მაჩვენებლები შეიძლება განსხვავდებოდეს. თუმცა, მისი უნივერსალური მნიშვნელობიდან გამომდინარე, კორპორატიული მმართველობა შესწავლილია ყველა ინდუსტრიაში.

ESG რეიტინგი კომპანიის სოციალურ და გარემოსდაცვით პასუხისმგებლობებთან დაკავშირებულ ძალისხმევასა და შედეგებს ასახავს. ESG რეიტინგი ინვესტორებს ეხმარება ბიზნესისთვის იმ შესაძლებლობების ან რისკების იდენტიფიცირებაში, რომლებიც ჩვეულებრივმა ფინანსურმა ანალიზმა ვერ გამოავლინა.

როგორ ფასდება კომპანიები?

მხოლოდ საფონდო ბირჟებზე რეგისტრირებულ კომპანიებს ენიჭებათ ESG რეიტინგი და სხვადასხვა სააგენტო, მაგალითად, MSCI (Morgan Stanley Capital International), ISS (Institutional Shareholder Services) და Sustainalytics, ESG შეფასების სხვადასხვა სისტემებს იყენებს. ბაზრის ფართო დაფარვიდან გამომდინარე, ესაა ყველაზე პოპულარული სარეიტინგო სააგენტოები.

სააგენტოები შეფასებებში საჯაროდ ხელმისაწვდომ ESG მონაცემთა წყაროებს იყენებენ, როგორებიცაა კომპანიის ანგარიშები და სხვა მედიანყაროები. გარდა ამისა, ზოგიერთი საკუთარ პლატფორმას ფლობს ან ემიტენტებს (შეფასებული კომპანია) ეკონტაქტება შეფასებაში გამოყენებული ინფორმაციის შესავსებად.

კომპანიამ უნდა ჩამოაყალიბოს ESG მმართველობის ჯანსაღი სტრუქტურა საკმარისი ESG მართვის პოლიტიკით, სისტემებითა და შიდა კონტროლის საშუალებებით; ასევე, უნდა გაატაროს ისეთი ზომები, რომლებიც შედეგების ოპტიმიზაციისა და კარგი ESG რეიტინგის მისაღწევად არის საჭირო.⁴



© Unsplash



² რა არის MSCI ESG რეიტინგი?, MSCI (2017), <https://www.msci.com/our-solutions/esg-investing/esg-ratings>

³ რატომ არის საჭირო ESG-ის შენარჩუნება? McKinsey & Company (2020), <https://www.mckinsey.com/business-functions/strategy-and-corporate-finance/our-insights/why-esg-is-here-to-stay>

⁴ რა არის ESG რეიტინგი?, Deloitte (2022), <https://www2.deloitte.com/cn/en/pages/risk/articles/what-is-esg-rating.html>

მიუხედავად იმისა, რომ ESG სარეიტინგო სააგენტოებს კომპანიების შეფასების კარგი კრიტერიუმები აქვთ, ზოგიერთი მათგანი, როგორც ჩანს, შეფასებას ახორციელებს ყველაზე გავრცელებულ პრაქტიკაზე დაყრდნობით და არა იმის საფუძველზე, რაც რეალურად უფრო მნიშვნელოვანია: „რეიტინგულ სააგენტოებს კონტექსტის სიღრმისეულობა აკლიათ და ამით შეიძლება ქულა დააკლონ გარკვეულ სფეროებში.“⁵

წარსულში გვინევდა იმის დასაბუთება, თუ რატომ ვამბობთ უარს ბონუსების სისტემატური გამოყენებაზე და რატომ არ შეესაბამება ჩვენი სამართლიანი ანაზღაურების სისტემა მენეჯერებისთვის ევროში მილიონიანი ხელფასების გადახდის საბაზრო სტანდარტებს. ჩვენი აზრით, ბონუსები კარგი მმართველობის პრინციპებთან თანხვედრაში არ არის. რატომ? იმიტომ, რომ ეს პრაქტიკა ინდივიდების საკუთარ ინტერესებზე მორგებულ ერთგვარ ქცევას ასახავს, რომელიც მთლიანობაში საზოგადოებისთვის სარგებლის მომტანია.

გარდა ამისა, ჩვენ ასევე გვაკრიტიკებდნენ აუდიტის სტრუქტურისა და იმის გამო, რომ არ გვყავს აღმასრულებელი დირექტორი, რომელიც ერთპიროვნულად მიიღებდა გადაწყვეტილებებს. მიგვაჩნია, რომ პროკრედიტში გადაწყვეტილებებს არ უნდა იღებდეს შერჩეული ინდივიდების ჯგუფი, არამედ ეს საკითხები და მათი მოგვარების გზები სხვადასხვა თვალსაზრისისა და კვალიფიკაციის მქონე კომპეტენტურმა პერსონალმა უნდა განიხილოს. ეს მახასიათებელი ჩვენი მმართველობის სტრუქტურის ძირითად ელემენტს წარმოადგენს.

მომავალში ჩვენ მივესალმებით ფინანსურ სექტორში მმართველობის შესახებ უფრო საფუძვლიან დებატებს. ESG სარეიტინგო სააგენტოების მიერ გამოვლენილი სიღრმისეულობის ნაკლებობის კრიტიკისას უნდა აღინიშნოს, რომ კომპანიებში სწორედ ამ გავრცელებულმა პრაქტიკამ გამოიწვია ბოლო ფინანსური კრიზისი და სახიფათო აღმოჩნდა მთელი საბანკო სისტემისთვის. დიახ, ჩვენი ღირებულებები და პრაქტიკა ფინანსური სექტორის უმრავლესობის ღირებულებებისა და პრაქტიკისგან განსხვავდება, მაგრამ ეს არის ზუსტად ის, რაც გამოგვარჩევს ჩვენი კონკურენტებისგან - თუნდაც დაბალი ESG რეიტინგის მიღების რისკის პირობებში.

ამ თემაზე დამატებითი ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ პროკრედიტ ჰოლდინგის ვებგვერდზე განთავსებულ ჩვენს 2020 წლის ზემოქმედების ანგარიშში (გვ. 2ff და გვ. 31ff).



სერტიფიკატი და სტანდარტები

ზოგადი ან კონკრეტული ESG მაჩვენებლების გამოქვეყნების და გამოცხადების სხვადასხვა სტანდარტები და სერტიფიკატები გამოიყენება მსოფლიოს მასშტაბით. პროგრედიტ ჯგუფი თავის მდგრადობას GRI სტანდარტების შესაბამისად აქვეყნებს და აქედან გამომდინარე, ასრულებს ESG ვალდებულებებისა და მოვალეობების ეროვნულ და საერთაშორისო მოთხოვნებს, როგორიცაა EU-NFDR (არაფინანსური ანგარიშგების დირექტივა) და პასუხისმგებელი საბანკო საქმიანობის პრინციპი (PRB). გარდა ამისა, ჯგუფი ვალდებულია, კონკრეტული მაჩვენებლები ისეთი საერთაშორისო სტანდარტების გამოყენებით გამოაქვეყნოს, როგორებიცაა Partnership for Carbon Accounting Financials (PCAF - პარტნიორობა ნახშირბადის ემისიების აღრიცხვის ფინანსური ანგარიშგებისთვის) ნახშირბადის ემისიების კუთხით და EDGE მწვანე შენობების კუთხით.



ჩვენი რეიტინგების შესახებ დამატებითი ინფორმაცია იხილეთ პროგრედიტ ჰოლდინგის ვებგვერდზე.



ISS ESG კორპორატიული რეიტინგი | სტატუსი "საუკეთესო"

ISS ESG კორპორატიული რეიტინგი აფასებს კომპანიის გარემოსდაცვით, სოციალურ და მმართველობით საკითხებთან დაკავშირებულ საქმიანობას.

პროგრედიტ ჰოლდინგმა "B-" რეიტინგი მიიღო და „საუკეთესო“ სტატუსი მიენიჭა. ეს სტატუსი მხოლოდ ინდუსტრიის იმ წამყვან კომპანიებს ენიჭება, რომლებიც მწარმოებლურობის მოსალოდნელ შედეგებს აკმაყოფილებენ და სათანადო ESG რისკის მართვას ახორციელებენ მდგრადი განვითარების მისაღწევად.⁶

MSCI ESG | AA რეიტინგი

MSCI ESG Ratings აფასებს გრძელვადიანი, ფინანსურად რელევანტური ESG რისკების მიმართ კომპანიის მდგრადობას. MSCI მიდგომა მოიცავს წესებზე დაფუძნებულ მეთოდოლოგიას ინდუსტრიის ლიდერი და ჩამორჩენილი კომპანიების გამოსავლენად და კომპანიებს აფასებს AAA-დან CCC-მდე მასშტაბით.

პროგრედიტ ჰოლდინგის ESG რეიტინგია AA, რომლის მიხედვითაც ჯგუფი თავის ინდუსტრიაში ლიდერია, ყველაზე მნიშვნელოვანი ESG რისკებისა და შესაძლებლობების მართვის თვალსაზრისით.

პროგრედიტს ასევე აქვს Fitch-ის რეიტინგი. თუმცა, ეს დაფუძნებულია არა კონკრეტულად ESG მაჩვენებლებზე, არამედ უფრო ფინანსურ ფაქტორებზე.

⁶ ISS ESG კორპორატიული რეიტინგის მეთოდოლოგია, ISS მმართველობა (20216), <https://www.issgovernance.com/file/publications/methodology/Corporate-Rating-Methodology.pdf>

პროკრედიტ ბანკ საქართველოს საერთაშორისო ESG რეიტინგები მაღალ სტანდარტთან შესაბამისობა და მუდმივი განვითარებისკენ სვლა

პროკრედიტ ბანკი ESG სტანდარტებთან შესაბამისობით, მონინავე პოზიციაზეა ბაზარზე და განვითარებაზე ორიენტირებულ მიდგომებს ინარჩუნებს. დღეისათვის პროკრედიტ ბანკი საქართველო ISO14001 სერტიფიკატის მფლობელია, აკმაყოფილებს EDGE-ის მოთხოვნებს და მიღებული აქვს შესაბამისი საერთაშორისო სერტიფიკატი.

პროკრედიტ ბანკმა საქართველომ ყოველწლიური ISO სერტიფიცირება 2018 წლიდან დაიწყო. მისი მიზანი ორგანიზაციის მართვის სისტემების რეგულარული შეფასებაა, რაც სხვადასხვა მიმართულებას მოიცავს: როგორია ორგანიზაციაში გადამწყვეტილების მიღების პროცესი, საგანგებო სიტუაციების სამოქმედო გეგმები და ამ სიტუაციებისთვის მზადყოფნა; ასევე, რესურსებისა და ნარჩენების მართვის სისტემა და სხვა. აუდიტის პროცესში ბანკის თანამშრომლებთანაც ტარდება გასაუბრება დახდება საჭირო მასალების გაანალიზება, იქმნება დასკვნითი დოკუმენტი, რაც სრულ სურათს აღწერს ორგანიზაციის შიდა პროცესების შესახებ. მნიშვნელოვანია, რომ, სტანდარტთან შესაბამისობის აღმოჩენის შემთხვევაში, ორგანიზაცია ვალდებულია მომდევნო წლამდე მისი გაუმჯობესება აჩვენოს. ტრადიციულად, გასულ 2021 წელს, პროკრედიტ ბანკმა ISO 14001 აუდიტი ჩაატარა, რომლის შედეგადაც არცერთი ხარვეზი და შეუსაბამობა არ გამოვლენილა, რაც კიდევ ერთხელ ხაზს უსვამს პროკრედიტ ბანკ საქართველოს მართვის სისტემების საერთაშორისო ESG სტანდარტებთან სრულ თანხვედრას.

პროკრედიტ ბანკისთვის მწვანე და მდგრადი მიზნების განხორციელებისას ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტია შენობებში ენერგოეფექტურობის უზრუნველყოფა. გერმანული ბანკი საქართველოში ყოველთვის ისწრაფოდა შიდა ენერგოეფექტურობის გაუმჯობესებისკენ, რითაც დღესაც სამაგალითოა კლიენტებისა და სექტორისთვის. მნიშვნელოვანია, რომ ბანკის სათავო ოფისი თბილისში ენერგოეფექტურობის ზომების სრული გათვალისწინებითაა აგებული და იგი სერტიფიცირებულია 2020 წელიდან, EDGE-ის მონინავე მოთხოვნებთან შესაბამისობით, რითაც პირველია კავკასიაში. ამ ინოვაციის ბაზარზე შემოტანის შემდეგ, ბანკი მუშაობს, რათა გაზარდოს ენერგო ეფექტურობისა და მისი უპირატესობების შესახებ ცნობადობა. ამ მიზნით, EDGE-თან წამოიწყო თანამშრომლობა ცნობადობის გაზრდის საერთო კამპანიის წარმართვაზეც.

პროკრედიტ ბანკისთვის, ამ ყველაფერთან ერთად, მნიშვნელოვანია მისი კლიენტების გავლენა გარემოზე, თანხვედრა ESG სტანდარტებთან. ბანკს აქვს იმ აქტივობების გამონაკლისთა სია, რომლებსაც არ აფინანსებს. სია მოიცავს ერთჯერადი პლასტმასის, ცეცხლსასროლი იარაღისათუ ყველა იმ საქმიანობის ჩამონათვალს, რომლებსაც ზიანის მოტანა შეუძლია გარემოსა და ადამიანებისთვის. თუ ბიზნესის საქმიანობა არ ხვდება გამონაკლისთა სიაში, შემდგომ ეტაპზე ხდება ბიზნეს აქტივობის შეფასება და „მაღალი, საშუალო ან დაბალი“ რისკის მინიჭება. საშუალო და მაღალი რისკის კლიენტები გარემოსდაცვითი და სოციალური შეფასების ფორმებს ექვემდებარებიან, რაც დამატებითი მტკიცებულებაა იმისა, რომ პროკრედიტ ბანკი საქართველო მავნე საქმიანობას არ აფინანსებს. ბანკი ყურადღებას აქცევს მომწოდებლების არჩევასაც. მნიშვნელოვანია, რომ ისინიც აკმაყოფილებდნენ ESG სტანდარტებს. პროკრედიტ ჰოლდინგმა ESG შესაბამისობის კითხვარი შეიმუშავა. ხელშეკრულების გაფორმებამდე კი ყველა პოტენციური მომწოდებლის გაანალიზება ხდება დაუპირატესობა „მწვანე“ კომპანიებს ენიჭება. ამჟამად, პროკრედიტ ბანკ საქართველოს მომწოდებლების 66% მწვანეა.